

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ

პაატა ახალაძის 2020 წლის ანგარიში

გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მე-6 მოწვევის საკრებულო (2017–2021)

საკრებულოს წევრები სულ 34 (აქედან ერთს შეჩერებული აქვს უფლებამოსილება)

ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო 26-1=25,

ნაციონალური მოძრაობა – 5

ევროპული საქართველო – 3

აქედან – კაცი 28, ქალი 5

5 კომისია: 1. იურიდიულ საკითხთა კომისია

2. კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

3. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

4. ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისია

5. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია

აქედან – კაცი 4, ქალი 1

7 ფრაქცია: 1. “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო”

2. “ქართული ოცნება-კონსერვატორები”

3. “ქართული ოცნება-მრეწველები”

4. “ქართული ოცნება-მწვანეები”

5. “ევროპული საქართველო”

6. “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”

7. „წყალტუბოს განვითარებისათვის“

აქედან – კაცი 5, ქალი - 2

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

2020 წ. საკრებულოს მიერ მიღებულია: 85 განკარგულება, 25 დადგენილება

სულ ჩატარებულია 18 სხდომა, აქედან 11 რიგითი და 7 რიგგარეშე

საკრებულოს მიერ ინიცირებული საკითხები: „სამოქალაქო ბიუჯეტირება“-პროექტის მიზანი მოქალაქეების ჩართვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვაში, რაც დემოკრატიული პროცესებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. 2020 წლისთვის შემოტანილია 27 პროექტი აქედან 26 იქნა დაფინანსებული. 2020 წლის „სამოქალაქო ბიუჯეტირების“ პროექტის ბიუჯეტი 300 000 ლარის ოდენობით იქნა გაზრდილი, თუ 2019 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 150 000 ლარს 2020 წლის ბიუჯეტი შეადგენს 450 000 ლარს. ქალაქი დაყოფილია 3 ზონად I ზონა - 12 პროექტი, II ზონა - 6 პროექტი, III ზონა - 8 პროექტი. 2020 წლის 10 დეკემბრისთვის დასრულებული იქნება სამოქალაქო ბიუჯეტირებით დაფინანსებული პროექტები.

იურიდიული პირის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების 2019–2020 წლების სამოქმედო გეგმა (20/07/2018)

არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის 2019–2020–2021 წლების სამოქმედო გეგმა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საშუალოვადიანი და 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა

საკრებულოს მიერ განხილული და მოწონებული იქნა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები

ინფრასტრუქტურული პროექტები

2020 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა მიმართულების 128 ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება დაიწყო, რომლებიც რგ ფონდის, ადგილობრივი ბიუჯეტის და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი თანხებით დაფინანსდა.

რეგიონალური განვითარების ფონდის მიერ მიმდინარე წელს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმმართველობის 5% - იანი თანამონაწილეობით დაფინანსდა 17 მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა 49 პროექტი - მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში, თითოეული სოფლისათვის გამოყოფილი თანხებით სხვადასხვა მისამართზე მოეწყო გარე განათებები, შეძენილია მზა ბეტონი, რომლითაც რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის სოფლებში გამავალ შიდა სასოფლო გზებს.

2020 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 40 ინფრასტრუქტურული პროექტი, განხორციელებული პროექტები მიმართულებების მიხედვით მოიცავდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო გზების, დასახლებული უბნების, საცხოვრებელ კორპუსებამდე მისასვლელი გზების, სანიაღვრე არხების, მგზავრთა მოსაცდელის, საბავშვო ბაღების, სპორტული მოედნების, სასმელი წყლის და გარე განათების სისტემების მშენებლობის/რეაბილიტაცია/სამუშაოებს.

ლამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისათვის და კომფორტული გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათების ფუნქციონირებას. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში წარმოდგენილი გარე განათების პროგრამის ფარგლებში სწორედ გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები ფინანსდება. პროგრამის ასიგნებების მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდება მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას.

ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა

ადგილობრივი თვითმმართველობის პირველი და მთავარი საზრუნავია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებს 4 პროგრამა ჩვენი გუნდის მოსვლის შემდეგ დაემატა ესენია:

1. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების დახმარება წელიწადში 200 ლარის ოდენობით.

2. ფსორიაზით დაავადებული პირებისთვის ერთჯერადი დახმარება 300ლარის ოდენობით.
3. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან კერძოდ კი მინდობით აღზრდიდან ან მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნობის მიღწევის გამო ამორიცხული ახალგაზრდების საცხოვრებლის არარსებობის შემთხვევაში(18-21წელი), ოჯახური ძალადობის სტატუსის მქონე პირების ბინის ქირით უზრუნველყოფა ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით, წელიწადში 1800 ლარი.
4. მარჩენალდაკარგული, უგზოუკვლოდ დაკარგული და ხანგრძლივ პატიმრობაში მყოფი მშობლების სტუდენტი შვილებისთვის სწავლის საფასურის 50 %-იანი დაფინანსება არაუმეტეს 2000 ლარისა.

2020 სამედიცინო თანადაფინანსების პროგრამებშია ასევე ქიმიო, ჰორმონო, სხივური თერაპიის კურსების თანადაფინანსების პროგრამები. თანხა 200 ლარიდან 300 ლარამდე გაეზარდათ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს. 200 -დან 250 ლარამდე გაეზარდათ თანხა მხედველობით მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომლებიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული არიან 65000-დან 100 001-ის ქულის ჩათვლით და ღებულობენ საარსებო შემწეობას. 1000-დან 1500- ლარამდე გაეზარდათ თანხა 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის სამომარო მოქმედებების დროს დაღუპული პირების ოჯახის წევრებს, ასევე 120 ლარიდან 150 ლარამდე გაეზარდათ ყოველთვიური ბინის ქირის გადასახდელი თანხა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ უსახლკარო ოჯახებს, რომელთაც საცხოვრებელი სახლი დაენგრათ დაეწვათ ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გაუხდათ და ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახური ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირებს, (გვყავს სამი ბენეფიციარი) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან, კერძოდ კი მინდობით აღზრდიდან ან მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნობის მიღწევის გამო ამორიცხული ახალგაზრდებს.

საადდგომოდ დაახლოებით 50 ლარის ღირებულების კვების პროდუქტები მიიღეს საჩუქრად მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულმა სოციალურად დაუცველმა ოჯახებმა (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებული), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი, დედ-მამით ობოლმა ბავშვებმა, 100 წელს გადაცილებულმა პირებმა, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანებმა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებმა.

თანხა 80000 -დან 100000 ლარამდე გაიზარდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური წახალისების მუხლში.

2019-2020 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი. „ჩვენი სახლის“ 20-მა ბენეფიციარმა ბავშვმა დახმარების სახით მიიღო 100 ლარი. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლება განსაკუთრებული ყურადღებით ვეკიდებით ა(ა)იპ სათნოების სახლსა (სადაც თითქმის ყოველ წელს ვზრდით ბენეფიციართა რაოდენობას ამ ეტაპზე 190) და ა(ა)იპ ინკლუზიური ცენტრის გამართულ ფუნქციონირებას.

მუნიციპალიტეტის 6 სოფელში გაკეთდა ამბულატორია: დღნორისა, მექვენა, ოფშკვითი, მუხიანი, ფარცხანაყანევი და მალლაკი.

განათლება

პროგრამის ფარგლებში აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების სუბსიდირება, რის ფარგლებში მოხდა სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელთა სასწავლო-სააღმზრდელი პროცესის დაფინანსება. მიმდინარე პერიოდში ყოველდღიური გამტარიანობის მიხედვით გამოცხადდა 12 888 აღსაზრდელი.. ხოლო აღნიშნულ პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე მდგომარეობის გამო გაერთიანების ყველა ბაღში შეწყდა სასწავლო - სააღმზრდელი პროცესი და ამ გარემოებიდან გამომდინარე 1800 ბავშვზე გაიცა საკვები პროდუქტები.

საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით პროგრამის ფარგლებში აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა სასწავლო პროცესის პერიოდში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

პროგრამის ფარგლებში აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება და სპორტული ობიექტების დაფინანსება. ასევე მოხდა სპორტული მოედნების მოწყობა - რეაბილიტაცია.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორცაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი. ასევე მოხდება რელიგიური ორგანიზაციების სუბსიდირება ეპარქიის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით.

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტაძრებისა და ეკლესიების რეაბილიტაციასა და ახალის მშენებლობას.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ახალგაზრდობის მხარდაჭერა, კერძოდ წყალტუბოს საკრებულოს ახალგაზრდული საკრებულოს წევრები მივლინებული იქნა აზერბაიჯანის რესპუბლიკის დედაქალაქ ბაქოში მასშტაბურ პროექტში „ქართული დღეები ბაქო 2020“ მონაწილეობისათვის.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხევედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესით, C ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ - ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხევედველობა, რისთვისაც დაფინანსებული იქნა ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რომელიც ასევე აქტიურად იყო ჩართული აღნიშნულ პერიოდში გავრცელებულ covid 19-ის პრევენციულ ღონისძიებებში.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის დაფინანსება, კერძოდ სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა და მათი უზრუნველყოფა კვებით. 2020 წლის მიმდინარე პერიოდისთვის პროგრამით სარგებლობს 190 ბენეფიციარი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო

2015წლის 25დეკემბრის N205 განკარგულებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეიქმნა საკონსულტაციო-სათათბირო ორგანო „გენდერული

თანასწორობის საბჭო“. ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერითა და თანადგომით წყალტუბო არის პირველი მუნიციპალიტეტი იმერეთის რეგიონში სადაც შექმნილია ეს საბჭო.

2018 წელს „ეფექტიანობის და განვითარების ქსელი“ (N4ED) ფარგლებში გამართული საუკეთესო პრაქტიკათა ეროვნული კონფერენცია საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების განხორციელების კუთხით ჩატარებული მნიშვნელოვანი პროექტების თუ პროგრამების, კარგი მაგალითების გაცნობას, გაზიარებასა და წახალისებას ისახავს მიზნად. წყალტუბოს მუნიციპალიტეტი ორ ნომინაციაშია გამარჯვებული. მოსახლეობის ჩართულობა და გენდერული თანასწორობის თემატიკა. დაჯილდოვდა ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციის (ათეა) მიერ.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები არიან: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისა და განყოფილების უფროსები, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეები, არასამთავრობო ორგანიზაციები (5 არასამთავრობო) და სხვა. სულ 25 წევრი, აქედან 18 ქალი და 7 კაცი.

26 თებერვალი კულტურულ - ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ მრგვალი მაგიდა სახელისუფლო სტრუქტურებისა და სოციალური ინსტიტუტების წარმომადგენელთა მონაწილეობით თემაზე - ძლადობის პრევენცია და ძლადობის დაცვა (სოციალური თანამშრომლობა და რეფერირება)

26 თებერვალს თბილისის საკრებულოში, პროექტის „საქართველოს მუნიციპალიტეტებში ქალთა ოთახების სტანდარტიზაცია და მასშტაბების გაზრდა“ ფარგლებში, საქართველოს მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების გაფართოებული სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზურაბ მაისურაძე, მერის თანაშემწე ირმა ხელაძე და საკრებულოს საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი ლელა ბერძენიშვილი

19 თებერვალი გენდერული თანასწორობის საბჭოს პირველი სხდომა სადაც განვიხილეთ შემდეგი საკითხები: 1. გენდერული თანასწორობის საბჭოს ანგარიში 2019 წ. გაწეული მუშაობის შესახებ (მ. კიკალიშვილი) 2. 2020 წლის კონფერენცია იმერეთის რეგიონის მასშტაბით - გენდერული თანასწორობის საბჭოების მუშაობის შესახებ (ლ. ბერძენიშვილი) 3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2020 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი (მ. კიკალიშვილი)

20 ოქტომბერი ფონდი „სოხუმის“ მიერ ჩატარდა მრგვალი მაგიდის ფორმატის ონლაინ-შეხვედრა იმერეთის 12 მუნიციპალიტეტთან. ახალი პოლიტიკური დოკუმენტის პრეზენტაცია - „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით თვითმმართველობების როლი და პრაქტიკა“ - მიღწევები, გამოწვევები და მათზე რეაგირების შესაძლო გზები. თორმეტივე მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლებმა წარმოადგინეს მუნიციპალიტეტების მიერ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით განხორციელებული პროგრამები და სამომავლო გეგმები - მიღწევები, არსებული გამოწვევები, კოორდინაციის გაუმჯობესების მიმართულებით სამომავლო გეგმები.

25 ნოემბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო შეუერთდა 16 დღიან კამპანიას „არა ძალადობას“

27 ნოემბერი "ქალთა ფონდი საქართველო"- რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები, გენდერული ბიუჯეტირება.

საბჭოს აქვს facebook გვერდი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო - სადაც ვაშუქებთ ჩვენს მიერ ჩატარებულ საბჭოს სხდომებს, ტრენინგ-სემინარებს, ღონისძიებებს, შეხვედრებისა და პროექტების შესახებ ინფორმაციას.

მოსახლეობასთან შეხვედრები

2020 წელი რთული აღმოჩნდა არა მარტო საქართველოსთვის არამედ მსოფლიოსთვისაც. კორონა ვირუსის COVID 19 სრულიად შეცვალა სამყარო.

2020 წლის განმავლობაში წყალტუბოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატის, მუნიციპალიტეტის მერის, საკრებულოს დეპუტატებთან ერთად ხდებოდა შეხვედრები მუნიციპალიტეტის მასშტაბით, როგორც ქალაქის ასევე სოფლის მოსახლეობასთან.

მუნიციპალიტეტს საგანგებო ბიუჯეტიდან 12 000 ლ. შეძენილი იქნა საკვები პროდუქტები, რომლებიც მოხალისეებთან ერთად დავურიგეთ შეჭირვებულ მოსახლეობას, კამპანია გაგრძელდა შპს „როსტვერკის“, „მიმდემის“, „ორიენტირის“ და „ენკა რინიუებლზის“ მხარდაჭერით და სულ 650 - მდე ოჯახს გაეწია დახმარება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში განხორციელდა „ღია დიალოგი მოსახლეობასთან“, რომლის ფარგლებში წყალტუბოს მაჟორიტარი დეპუტატი ცოტნე ზურაბიანი, სახელმწიფო რწმუნებული იმერეთის მხარეში ბატონი ზვიად შალამბერიძე, ჩემთან და მერ გრიგოლ იოსელიანთან, სოფლების: ჯიმასტაროს, ოფურჩხეთის, გუმათის, ჟონეთის, ნამოხვანის, ქვიტირის, მესხეთისა და მუხიანის მცხოვრებლებს. მათთან ერთად განვიხილეთ მითითებული სოფლების პრობლემები, კერძოდ: ხიდის გაკეთება, სასმელი წყლის მოწესრიგება, გაზიფიცირება და საბავშვო ბაღის შენობის გაფართოება.

იგივე შემადგენლობით შევხვდით მაღალმთიანი სოფლების: მექვენა, ვანისჭალა, დერჩის მცხოვრებლებს და განვიხილეთ მათი პრობლემები, ძირითადი პრობლემები ამ თემში არის: საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, შეშის მოპოვება და სოციალურად დაუცველი სტატუსის მინიჭება.

ცხუნკურის, ყუმისთავის, ჩუნეშის მოსახლეობასთან შეხვედრის დროს ძირითადი პრობლემებიდან გამოიკვეთა შემდეგი: საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, გაზიფიცირება, შეშის მოპოვება, სასმელი წყლის ქსელის მოწესრიგება.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელებული ღონისძიებები

ტრადიციულად 5 წელია საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ლოცვა კურთხევითა და საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ პაატა ახალაძის ინიციატივით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები მივდივართ მახათას მთაზე მოსალოცად და ვრგავთ ხეებს, სამწუხაროთ მიმდინარე წელს არსებული მდგომარეობის გამო ვერ მოხერხდა აღნიშნული ღონისძიების განხორციელება...

11 მაისს „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოსთან ერთად მონაწილეობა მივიღე ჯანდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებულ პროგრამაში „გაიღე სისხლი, გადაარჩინე სიცოცხლე“

ივნისის თვეში ოტია იოსელიანის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაიხსნა მწერლის ბიუსტი. ღონისძიებას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ცნობილი მწერლები, ოტია იოსელიანის ოჯახის წევრები, მისი მეგობრები და თაყვანისმცემლები ესწრებოდნენ.

1 ივლისი მონაწილეობა მივიღე კვლევითი ხასიათის ონლაინ შეხვედრაში, რომელიც საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ასოციაციის (ათეა) ინიციატივით გაიმართა. განხილული იქნა შემდეგი საკითხები: თვითმმართველობის დეცენტრალიზაცია და ასევე თვითმმართველობის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა. შეხვედრას ესწრებოდნენ: ოზურგეთის, ფოთისა და ზუგდიდის საკრებულოს თანამდებობის პირები და მოწვეული ექსპერტები.

11 ივლისს მუნიციპალიტეტში დაიწყო კოლეჯის მშენებლობა, რომელიც 2021წელს დაიწყებს ფუნქციონირებას. მშენებლობა დავათვალიერეთ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილთან და იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულ ზვიად შალამბერიძესთან ერთად. დაწესებულება აღიჭურვება უახლოესი ტექნოლოგიებით, მოეწყობა საკონფერენციო დარბაზით, ბიბლიოთეკით, სპორტული მოედნითა და სხვა. კოლეჯი ძირითადად ტურიზმის, საინჟინრო ტექნოლოგიებისა და სოფლის მეურნეობის მიმართულების პროგრამებს შესთავაზებს.

20 ივლისი იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში ჩატარებულ საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე განვიხილეთ 2018 – 2020 წლის ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმაში შესატანი ცვლილებები, სულ მოიწონეს 59 პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება 26 444 387 ლარს შეადგენს. პროექტები ითვალისწინებს: წყლის სისტემის გაუმჯობესება, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, სანიაღვრე სისტემის მოწყობა და ასევე ხიდების შეკეთება.

28 ივლისი აქტიურად ჩავერთეთ ევროკავშირის მხარდაჭერით ახალი საერთაშორისო პროექტის განხორციელებაში „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“, პროექტის ფარგლებში იგეგმება ნაგავმზიდისა და სეპარირებისთვის საჭირო 60 - მდე კონტეინერის შექმნა, 10 მცირე ზომის მოედნის მოწყობა და სხვა. პროექტში მონაწილეობენ სომხეთის, მოლდავის, რუმინეთის წარმომადგენლები და იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი „სპექტრი“. მთლიანი ბიუჯეტი 780 701, 00 ევრო, აქედან გრანტია 718 244, 92 ევრო.

7 აგვისტოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში იურიდიული დახმარების სამსახურის მე-16 საკონსულტაციო ცენტრი გაიხსნა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა უფასო სამართლებრივი დახმარების მიღება, რადგან აქამდე მათ ქუთაისის ბიუროსთვის მიმართვა უწევდათ.

8 აგვისტოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერთან გრიგოლ იოსელიანთან, მაჟორიტარ დეპუტატთან ცოტნე ზურაბიანთან და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ გივი ჭიჭინაძესთან ერთად პატივი მივაგეთ და ყვავილებით შევამკეთ 8 აგვისტოს ომში დაღუპულ წყალტუბოელი გმირების საფლავებს. აღსანიშნავია რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახებს 1 800 ლარი გადაეცათ.

27 აგვისტოს ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმში გაიმართა საქართველოს პირველი ბანკირის იასონ ლორთქიფანიძის 100 წლისთავის საიუბილეო ღონისძიება, მოეწყო ფოტო და ნუმიზმატა გამოფენები.

2 სექტემბერი წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 140 იძულებით გადაადგილებულ ოჯახს, ახალაშენებულ კორპუსებში საცხოვრებელი ფართი გადავეცით.

იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს ბინების გასაღები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ეკატერინე ტიკარაძემ, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა მაია ცქიტიშვილმა, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ, მერმა გრიგოლ იოსელიანმა გადასცეს. კორპუსები ადაპტირებულია შშმ პირებისათვის.

კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილია რეკრეაციული სივრცეები, საბავშვო მოედნები, ავტოსადგომი. ასევე, დამოტანჟდა გარე განათება და მოეწყო სანიაღვრე სისტემები.

4 სექტემბერი შეხვედრა შედგა იმ აბიტურიენტებთან, რომლებმაც წელს სტუდენტის სტატუსი და სახელმწიფო გრანტი მოიპოვეს. შეხვედრს ესწრებოდნენ

მერი გრიგოლ იოსელიანი, მერის პირველი მოადგილე ზურაბ მაისურაძე, მოადგილე ალექსანდრე დადუნაშვილი, საკრებულოს ფრაქცია “ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს” თავმჯდომარე ბადრი პაპავა, საკრებულოს წევრებთან მიხეილ კაკაბაძე, ვლადიმერ ხურციასთან ერთად. შეხვედრას წარმატებულ პირველკურსელებთან ერთად საჯარო სკოლის დირექტორებიც ესწრებოდნენ.

27 სექტემბერი აფხაზეთის დაცემის დღეა. აფხაზეთის ომის დასრულების 27 წლისთავთან დაკავშირებით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა ცოტნე ზურაბიანმა, მერმა გრიგოლ იოსელიანმა, მერის პირველმა მოადგილემ ზურაბ მაისურაძემ და მოადგილე ალექსანდრე დადუნაშვილმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შევამკეთ და დაღუპული გმირების ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მივაგეთ.

24 ოქტომბერი წყალტუბოში კურორტის გენგეგმის კონცეფციის საკონკურსო წინადადებების საჯარო პრეზენტაცია გაიმართა.

პრეზენტაციას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მათა ცქიტიშვილი, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, წყალტუბოს მაჟორიტარი პარლამენტში ცოტნე ზურაბიანი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, მათ საზოგადოებას წარუდგინეს კურორტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და საპროექტო ჯგუფების უცხოელი ხელმძღვანელების გამოცდილებასა და კვალიფიკაციაზე ისაუბრეს. ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ სექტემბერში გამოცხადებულ კონკურსში წინადადებები სამმა კომპანიამ - შპს „ბაუ დიზაინმა“, შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრი გეორგაფიკმა“ და შპს „არტსტუდიო-პროექტმა“ წარადგინა.

წინადადებების შერჩევა-შეფასების პროცესის დასრულების შემდეგ, კონკურსში გამარჯვებული კომპანია წყალტუბოს გენერალური გეგმის კონცეფციას ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 დღის განმავლობაში შეიმუშავებს.

